N25

ჯეოსელი

ხელშეკრულება №
მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ კორპორაციული აბონენტებისათვის

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: 05 აგვისტო 2011წ.

ერთი მხრივ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეოსელი“**, შემდგომში „მომსახურების მიმწოდებელი“ ან “მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი რეალიზაციის განყოფილების დირექტორის კონსტანტინე ოდიკაძის სახით და მეორე მხრივქ.გარდაბნის №6 საბაზო სკოლა შემდგომში „მომხმარებელი“ ან ”აბონენტი”, წარმოდგენილი მისი სკოლის დირექტორის მახმუდ მეხტიევის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მომსახურების მიმწოდებელი“ გადასცემს „მომხმარებელს“ საავანსო და/ან საკრედიტო სისტემის სიმ-ბარათებს, ჩართავს მას “ჯეოსელის” მობილურ სატელეფონო ქსელში და უზრუნველყოფს აღნიშნული მობილური ქსელით სარგებლობას ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე (შემდგომში „მომსახურება“).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფების ნუსხა განსაზღვრულია №1 დანართში.

1.3. საკრედიტო და საავანსო სისტემის ნომრების “მომხმარებელზე” განპიროვნება ხდება ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რის შემდეგ “მიმწოდებელი” არეგისტრირებს ასეთ ნომრებს თავის სისტემაში; აგრეთვე შემდგომში ყოველი ახალი ნომრის დამატება/გაუქმება და/ან დროებითი შეჩერება ხდება “შემსყიდველის” წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. „მომხმარებელი“ ვალდებულია:

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესით, დათქმულ ვადებში და დანართ №1-ში აღნიშნული ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს მომსახურების საფასური “მიმწოდებლის” გაყიდვების და მომსახურების ოფისებში, მის რეგიონალურ დილერებთან, “მიმწოდებლის” საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ბარათების შევსების მეშვეობით ან გადახდის სხვა ალტერნატიული საშუალებებით.

2.1.2. ყოველი ახალი ნომრის დამატებისას, მიუხედავად იმისა თვის რომელ დღეს მოხდება დამატება, გადაუხადოს “მიმწოდებელს” დანართი №1-ში აღნიშნული ფიქსირებული გადასახადი ყოველ ასეთ ახალ ნომერზე.

2.1.3. ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2.1.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მიმწოდებელს“ სიმ-ბარათის დაკარგვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში “მომხმარებლის” ნომრიდან განხორციელებულ საუბრებზე გადახდას აწარმოებს თავად „მომხმარებელი“, მიუხედავად იმისა, თუ რეალურად ვინ განახორციელა ეს საუბრები და ვინ მიიღო მომსახურება.

2.1.5. არ გაასხვისოს, არ გააქირაოს და/ან სხვაგვარად არ დატვირთოს ამ ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული ნომრები.

2.2. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს მომსახურეობის შეჩერება გარკვეული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) თვისა, მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ ერთ ან რამდენიმე ნომერზე.

2.2.2 მოითხოვოს ნომრების დამატება.

2.2.3 მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ნომრის ახალი ნომრით ჩანაცვლება.

2.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარისხიანი მომსახურების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდება.

2.2.5 იმ შემთხვევაში, თუ “მომხმარებელს” “მიმწოდებლის” მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურების უწყვეტი, შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიადგა რაიმე სახის ზიანი, მას უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი ზიანის ანაზღაურება. ზიანი სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული აუდიტორული კომპანიის მიერ, ხოლო თავის